

# გეოგრაფია და კლიმატი

ქვეყანა მრავალფეროვანი ტოპოგრაფიითა და კლიმატით

## გეოგრაფია

### წყნარი ოკეანის კუნძულოვანი ქვეყანა

იაპონია არის კუნძულოვანი სახელმწიფო აზიის კონტინენტის აღმოსავლეთით, რომელიც



ფუჯის მთა

იაპონიის უმაღლესი მწვერვალი, აპრილის თვეში კავაგუჩის ტბის ხედით; იენისის ბოლომდე მწვერვალი თოვლითაა დაფარული

რკალისებური ფორმით არის განლაგებული წყნარი ოკეანის აუზში. იაპონიის არქიპელაგი შედგება ფართობის მიხედვით დიდიდან მცირისკენ თანმიმდევრულად განლაგებული ოთხი უდიდესი (ჰონშიუ, ჰოკაიდო, კიუშიუ, შიკოკუ) და მრავალი მცირე ზომის კუნძულისგან. წყნარი ოკეანე იაპონიის აღმოსავლეთით მდებარეობს, ხოლო იაპონიისა და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვები მას აზიის კონტინენტისგან გამოჰყოფს.

განედური მდებარეობით, იაპონია ნაწილობრივ თანხვედება ხმელთაშუა ზღვისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ ლოს ანჯელესის გეოგრაფიულ მდებარეობას, ჩრდილოეთის მხრიდან კი პარიზისა და ლონდონის განედი ნაწილობრივ

უახლოვდება ჰოკაიდოს კონცხის ჩრდილოეთი ნაწილის განედს.

იაპონიის ხმელეთის სრული ფართობი დაახლოებით 378,000 კვ. კმ.-ია, რაც მიახლოებით უთანაბრდება გერმანიის, ფინეთის, ვიეტნამის ან მალაიზიის ფართობს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მთლიანი ფართობის მხოლოდ 1/25-ს შეადგენს, ე. ი., მარტო კალიფორნიის შტატთან შედარებითაც კი მცირეა.

იაპონიის სანაპირო ზოლი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზოგან თუ ზღვის სილიანი სანაპირო ზოლი სწორად და უწყვეტად გრძელდება 60 კმ-ის მანძილზე, მაგალითად, კუჯიუკურიჰამაში (ჩიბას პრეფექტურა), ნაგასაკის პრეფექტურისთვის დამახასიათებელია ნახევარკუნძულების, ვიწრო ყურეებისა და ნაპირისგან დაშორებული კუნძულების სიმრავლე (ამავე პრეფექტურას განეკუთვნება გოტოს არქიპელაგი და ცუშიმასა და იკის კუნძულები). სანაპირო ზოლი გამოირჩევა უამრავი ვიწრო სრუტითა და წამახვილებული კლდით, რაც განპირობებულია დედამიწის ქერქში მიმდინარე თავდაპირველი ცვლილებების დროს ყოფილი სანაპირო ზოლის ნაწილის ჩაძირვით.

ოკეანის თბილი დინება, ცნობილი კუროშიოს ანდა იაპონიის დინების სახელწოდებით, იაპონიის არქიპელაგის სამხრეთ ნაწილს მიუყვება და მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ხოლო მისი ერთერთი განშტოება, რომელიც ცნობილია ცუშიმას დინების სახელწოდებით, მიედინება ქვეყნის დასავლეთი მხარის გასწვრივ და ერთვის იაპონიის ზღვას. ჩრდილოეთიდან მომავალი ცივი დინება - ოიაშიო, იგივე ჩიშიმას დინება, მიემართება სამხრეთისკენ იაპონიის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის გასწვრივ, ხოლო მისი შენაკადი, რომელიც ლიმანის დინების სახელითაა ცნობილი, იაპონიის ზღვაში ჩრდილოეთის მხრიდან ჩაედინება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ცივი და თბილი დინებების შერევა უწყობს ხელს იაპონიის წყლებში მდიდარი სარეწი რესურსების წარმოქმნას.

**ცხელი წყაროებისა და მიმზიდველი პეიზაჟების ქვეყანა** იაპონიის ხმელეთის ზედაპირის სამი მეოთხედი მთაგორიანია. ცენტრალური ჰონშიუს ჩიუბუს რეგიონს “იაპონიის სახურავსაც” კი უწოდებენ, სადაც ბევრი მთის სიმაღლე 3,000 მეტრს აჭარბებს.

იამანაშისა და შიძუოკას პრეფექტურების საზღვარზე მდებარეობს იაპონიის ყველაზე მაღალი მთა - ფუჯი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3,776 მ.-ია. იაპონიის მეორე უმაღლესი მწვერვალია კიტადაკე, რომელიც მდებარეობს იამანაშის პრეფექტურაში და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3,192 მ.-ია. მესამე უმაღლესი მწვერვალია ჰოტაკადაკე, რომელიც მდებარეობს ნაგანოსა და გიფუს პრეფექტურების საზღვარზე და მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 3,190 მ.-ია.

იმდენად, რამდენადაც იაპონია განლაგებულია წყნარი ოკეანის ვულკანური სარტყელის გასწვრივ, მას გააჩნია რამდენიმე ვულკანური რეგიონი. ზოგადად, იაპონიის უკიდურესი ჩრდილოეთიდან უკიდურეს სამხრეთამდე გამოკვეთილია 7 ვულკანური რეგიონი.

ვულკანების მთლიანი რაოდენობიდან დაახლოებით ოთხმოდამდე ვულკანია აქტიური, მათ შორისაა: მიჰარა იაპონიის კუნძულ იძუოშიმაზე; ასამას მთა ნაგანოსა და გუნმას პრეფექტურების საზღვარზე და ასოს მთა კუმამოტის პრეფექტურაში. მსოფლიოს 840 მოქმედი ვულკანიდან იაპონიაში მათი ერთი მეათედი მდებარეობს. ეს მაშინ, როცა იაპონიას მსოფლიოს სახმელეთო ფართობის მხოლოდ 1/400 ნაწილი უჭირავს. რაც შეეხება, ცნობილ ფუჯის, იგივე ფუჯის მთას, ის 1707 წლის ბოლო ვულკანური ამოფრქვევის შემდეგ მიძინებულია და მისი გააქტიურება ნაკლებად სავარაუდოა.

მიუხედავად იმისა, რომ ამოფრქვევების შედეგად ვულკანებს დიდი ზარალი მოაქვთ ქვეყნისთვის, არსებობს დადებითი მხარეც, რითაც ვულკანები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტურისტების მოსაზიდად. ისეთი ტურისტული მხარეები, როგორებიცაა ნიკო, ჰაკონე და იძუს ნახევარკუნძული, განთქმულა უნიკალური თერმული წყაროებითა და ვულკანური მთების მიმზიდველი ხედებით.

ვულკანების არსებობა ადასტურებს, რომ იაპონიის არქიპელაგის ქვეშ დედამიწის ქერქი არამდგრადია და ენერგიითაა სავსე, რაც იაპონიას მიწისძვრის რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნებს. ყოველწლიურად იაპონიაში ათასამდე მძლავრი მიწისძვრა ხდება. 1995 წლის იანვარში მომხდარმა ჰანშინ-ავაჯის ძლიერმა მიწისძვრამ, დაახლოებით 6 000 ადამიანის

სიცოცხლე იმსხვერპლა, 40 000 ადამიანი დაშავდა, ხოლო 200 000 ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ნიიგატას პრეფექტურაში 2004 წლის ოქტომბრის მიწისძვრამ 60 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო 4 700-ზე მეტი დაშავდა. 2011 წლის მარტში 9 ბალიანი მიწისძვრა დაფიქსირდა სანრიკუს (ტოჰოკუ) სანაპიროსთან წყნარ ოკეანეში, რამაც განაპირობა ათმეტრიანი სიმაღლის ცუნამის წარმოშობა, რამაც ტოჰოკუს რეგიონიდან კანტოს რეგიონამდე ვრცელ სანაპირო ზოლს გადაუარა; მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვმა 19 000-მდე მიაღწია.

### **ჩქარი მდინარეები**

მთაგორიანი იაპონია მდინარეთა სიუხვით გამოირჩევა. მათი უმეტესობა ჩქარია. მთების, ხეობებისა და აუზების გავლის შემდეგ ისინი ოკეანეს ერთვისან. ამგვარი დინების მქონე მდინარის მაგალითად შეიძლება დასახელდეს კურობე, რომელიც სათავეს იღებს 2,900 მეტრის სიმაღლის იაპონიის ალპებიდან; მოედინება 83 კილომეტრის მანძილზე და იაპონიის ზღვაში ჩაედინება.

იაპონიის ყველაზე გრძელ მდინარეს წარმოადგენს მდინარე შინანო, რომელიც ჩუბუს მთებიდან იღებს სათავეს და ნიიგატას პრეფექტურის გავლით იაპონიის ზღვასთან შესაერთებლად მიედინება 367 კილომეტრ მანძილზე; სიგრძით მეორე მდინარეა ტონე, იგი წყნარ ოკეანეში ჩადინებამდე კანტოს ველს გადაჰკვეთს; ხოლო მესამე მდინარის, იშიკარის, სიგრძე 286 კილომეტრია და ჰოკაიდოში მიედინება. მდინარეების უმრავლესობა მთიანი რეგიონებიდან იღებს სათავეს და ზღვასთან შეერთებამდე სხვადასხვა ზომის ველებსა და აუზებზე ფართო, მარაოსებრ დელტას ქმნის, რაც საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს იაპონიის ტოპოგრაფიის ფორმირებაში. ქვეყანაში არსებული დაბლობების უმეტესობა მცირე ზომისაა. უდიდესია კანტოს დაბლობი, რომელიც ტოჩიგის, იბარაკის, გუნმას, საიტამას, ჩიბას, ტოკიოსა და კანაგავას პრეფექტურების ნაწილებს მოიცავს. სხვა შედარებით დიდი ფართის დაბლობებს განეკუთვნება ეჩიგოს დაბლობი (ნიიგატას პრეფექტურა), იშიკარის დაბლობი (ჰოკაიდო) და ნობის დაბლობი (აიჩისა და გიფუს პრეფექტურები).

### **კლიმატი**


იაპონიის კლიმატის ძირითად მახასიათებელს წელიწადის ოთხ დროს შორის ტემპერატურის მკვეთრად გამოხატული ცვლილება წარმოადგენს. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე იაპონია დაახლოებით 25-გრადუსიანი დიაპაზონის სარტყელს ფარავს. ზამთარში ციმბირიდან მომავალი სეზონური ქარების ზეგავლენა იგრძნობა, რასაც ზაფხულში ენაცვლება წყნარი ოკეანიდან გადმონაცვლებული ქარის მასები. მცირე ფართობის მიუხედავად, ქვეყანა ოთხ განსხვავებულ კლიმატურ ზონას მოიცავს.

სუბარქტიკული კლიმატის მქონე ჰოკაიდოს საშუალო წლიური ტემპერატურა 8 გრადუს ცელსიუსია, ხოლო წლიური ნალექის საშუალო მაჩვენებელი 1,150 მმ.-ი. იაპონიის წყნარ ოკეანესთან მოსაზღვრე მხარე, ჩრდილოეთ ჰონშუს ტოჰოკუს რეგიონიდან კიუშუმდე ზომიერი სარტყელს მიეკუთვნება და ზაფხული ცხელია, იგრძნობა წყნარი ოკეანის სეზონური ქარების

ზეგავლენა. ქვეყნის ნაწილი, რომელიც იაპონიის ზღვას ემიჯნება, წვიმიანი და თოვლიანი კლიმატით ხასიათდება; იაპონიის ცენტრალურ ნაწილს ქედის სახით მიჰყვება ცენტრალური ალპები და სხვა მთები, რომელიც ხელს უშლის კონტინენტიდან წამოსული ცივი და ნესტიანი ქარების გადმონაცვლებას.

ოკინავას პრეფექტურის სამხრეთ-დასავლეთ კუნძულები სუბტროპიკულ კლიმატურ ზონას განეკუთვნება. აქ საშუალო წლიური ტემპერატურა 22 გრადუს ცელსიუსს აღწევს, ხოლო ნალექების რაოდენობა 2 000 მმ.-ს აღემატება.

### გაზაფხული (მარტი, აპრილი, მაისი)



ალუბლის ყვავილობა  
ალუბლის ყვავილები - გაზაფხულის  
სიმბოლო იაპონიაში

ზამთრის დასასრულის მოახლოებასთან ერთად კონტინენტიდან მომავალი ცივი სეზონური ქარებიც სუსტდება და შედარებით ცვალებადი ხდება. ამავდროულად, ჩინეთიდან მომავალი დაბალი წნევის ჰაერის მასები იაპონიის ზღვისკენ გადმონაცვლებენ, რაც თავის მხრივ, დაბალწნევიანი ზონიდან წყნარი ოკეანისკენ მიმართული ძლიერი თბილი სამხრეთული ქარების წარმოშობას განაპირობებს. ქარის პირველ სახეობას *ჰარუ იჩიბანს* უწოდებენ, რომელიც დამდეგი გაზაფხულის სითბოს მაუწყებელია. ხანდახან ამ სახის ჰაერის მასის გადმონაცვლება ზვავს იწვევს და ასევე, იაპონიის ზღვასთან მომიჯნავე მხარის გადაკვეთისას

განაპირობებს ცხელი და მშრალი ამინდის წარმოშობას, რაც ხშირად ხანძრის მიზეზი ხდება.

გაზაფხულის დადგომისთანავე იკვირტება ქლიავის ხეები, რასაც მოსდევს ატმის ყვავილობა. მარტის ბოლო ათი დღის განმავლობაში კი იაპონელებისთვის განსაკუთრებული და საყოველთაოდ ცნობილი ალუბლის ყვავილობა იწყება.

### ზაფხული (ივნისი, ივლისი, აგვისტო)



ფოიერვერკები - იაპონური ზაფხული  
წარმოუდგენელია ფოიერვერკების  
გარეშე

იაპონიაში ზაფხულის დადგომამდე იწყება *ცუიუს* სახელით ცნობილი ნესტიანი და წვიმიანი სეზონი. მაისიდან ივლისამდე იაპონიის ჩრდილოეთით, ოხოტსკის ზღვაზე მაღალი წნევის ჰაერის ცივი მასები იწყებენ გავრცელებას, ხოლო წყნარი ოკეანის ზემოთ ასევე მაღალი წნევის თბილი და ნესტიანი ჰაერის მასები შემოედინება. ჰაერის თბილი და ცივი მასების სარტყელის გასწვრივ ხშირად წარმოიშობა დაბალი წნევის მქონე თბილი ჰაერის მასები და ხდება მათი თანხვედრა, რაც *ბაიუ ძენსენის* ანუ „წვიმის წინა სეზონის“ სახელით არის ცნობილი. ამგვარად, სამხრეთ ჩინეთიდან იაპონიის არქიპელაგამდე გავრცელებული

ბაიუ ძენსენი უწყვეტი წვიმების პერიოდის გახანგრძლივებას განაპირობებს.

ივლისის შუა რიცხვების შემდეგ წყნარ ოკეანეზე მაღალი წნევის ჰაერის მასები ვრცელდება, წვიმიანი სეზონი დასასრულს უახლოვდება და *ბაიუ ძენსენიც* ჩრდილოეთისკენ გადა-



ინაცვლებს. წყნარი ოკეანიდან სეზონური ქარების გადმონაცვლებით იაპონიაში თბილი, ნოტიო ჰაერის მასები შემოდინება და ქვეყანაში დგება ზაფხული. ამ დროს დღეების უმრავლესობა ხასიათდება მაღალი ტემპერატურით, რომელიც ხშირად 30 გრადუს ცელსიუსსაც კი აჭარბებს.

**შემოდგომა (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი)**



შემოდგომის ფოთლები - ფოთოლცვენა იაპონიაში შემოდგომის სიმბოლოა

ზაფხულის ბოლოდან მოყოლებული და სექტემბრის განმავლობაში იაპონიაში ხშირია ტაიფუნი. ტაიფუნები წარმოიშობა წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის დაახლოებით 5 და 20-გრადუსიანი განედების დაბალი წნევის მქონე ტროპიკული ჰაერის ნაკადის მასებისგან. ტაიფუნი თვისობრივად წარმოადგენს იგივე ფენომენს, რასაც მსოფლიოს დანარჩენი რეგიონების ქარიშხლები და ციკლონები. როდესაც ტაიფუნი იწყება და საბოლოოდ ყალიბდება, იგი გადანაცვლებას იწყებს ჩრდილოეთისკენ. ყოველწლიურად, ზემოაღნიშნული პერიოდის განმავლობაში, დაახლოებით 300 ტაიფუნი წარმოიშობა და

მათგან დაახლოებით 4 ტაიფუნი აღწევს იაპონიამდე, რაც ხანდახან დასახლებული პუნქტების ნგრევასაც იწვევს.

ოქტომბრის შუა რიცხვების შემდეგ ან მიწურულს, იაპონიაში ძირითადად მოწმენდილი ცაა. აღნიშნულ პერიოდში ნარჩუნდება საშუალო ტემპერატურა. ქვეყანას განსაკუთრებით კარგი ამინდი ახასიათებს ნოემბრის თვის დასაწყისში. ამ დროს ხეები შემოდგომის თბილი ფერებით იმოსება და გარემო გაზაფხულის სიმწვანესთან ერთად მშვენიერ იერსახეს იძენს.

**ზამთარი (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი)**



შირაკავა-გო ზამთარში. გაშშო-ტუკურის სტილის სახლები სოფელ შირაკავაში, გიფუს პრეფექტურა 1995 წელს შევიდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (ფოტო მოწოდებულია AFLO-სგან)

ნოემბრის მიწურულს იაპონიაში კონტიტენტიდან მომავალი ცივი სეზონური ქარების მასები გადმონაცვლებენ. იაპონიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთით ნესტიანობის მაჩვენებელი იზრდება, რაც ტრანსფორმირდება და ნალექის სახით ბრუნდება იაპონიის დასავლეთ ნაწილში, სადაც მათ გადანაცვლებას აღმოსავლეთისკენ დაბრკოლება ხვდება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მთათა სისტემის გამო. ჰოკურიკუს მხარე (ფუკუსი, იშიკავასი, ტოიამასა და ნიიგატას პრეფექტურები), რომელიც იაპონიის ზღვას ემიჯნება და ქვეყნის დანარჩენი რეგიონებისგან მაღალი მთებითაა გამოყოფილი, თოვლის უხვი ნალექით გამოირჩევა.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, იაპონიის წყნარ ოკეანესთან მოსაზღვრე მხარე ზამთრის განმავლობაში გამოირჩევა უღრუბლო ამინდით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ზამთრის ტემპერატურის საშუალო მაჩვენებელი 5 გრადუსია, რაც ზაფხულის 30-გრადუსიანი ტემპერატურისგან 25 გრადუსით განსხვავდება.

შორეულ სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ოკინავას პრეფექტურის კუნძულები სუბტროპიკული კლიმატით ხასიათდება და სეზონებს შორის ტემპერატურული სხვაობაც ნაკლებად შეიმჩნევა. რაც შეეხება ზამთარს, ტემპერატურა უფრო ზომიერია, ვიდრე ქვეყნის სხვა დანარჩენ ნაწილში.

